ოთარ ჯანელიძე •

1918 წლის ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

აბსტრაქტი

1918 წლის მაისში, ბათუმში გამართულ კონფერენციაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ზოგადი იდეა პრაქტიკული მოქმედების საგნად გადიქცა. აქვე დაიწყო მუშაობა დამოუკიდებლობის აქტის პროექტზეც, რომელიც თბილისში დასრულდა და 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის კონფერენციამ საფუძველი შეუმზადა ახალი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

მოხსენებაში ფართოდ გაშუქდება ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციების ბათუმის მოლაპარაკებაში გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლების მონაწილეობა. გერმანიიდან გამოგზავნილ ექვსკაციან დელეგაციას, რომელსაც გენერალ ფონ ლოსოვი ხელმძღვანელობდა, კონსულტანტის ფუნქციით, თან ახლდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძეც. დელეგაციაში შედიოდნენ ქართულ კომიტეტთან მჭიდროდ დაკავშირებული დიპლომატი გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, გერმანიის გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი, ლეგაციის მდივანი ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდოკი და სამხედრო დაზვერვის ოფიცერი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხების რეფერენტი რუდოლფ ნადოლნი. კომიტეტი 1914 წლიდან თანამშრომლობდა გერმანიის სამთავრობო წრეებთან და ხელშეკრულებაც ჰქონდა გაფორმებული ოფიციალურ ბერლინთან, რომლის თანახმად, გერმანიას

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

უნდა დაეცვა საქართველოს უსაფრთხოება, თუ იგი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

ვეზენდოკმა ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს აკაკი ჩხენკელს ჩამოუტანა და გადასცა გიორგი მაჩაბლის წერილი, რომელიც ბერლინშია დაწერილი და 1918 წლის 29 აპრილითაა დათარიღებული. წერილი, ფაქტობრივად, განთავისუფლების კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს შეიცავს, მიმოიხილავს საქმიან მიმოწერას გერმანიასთან და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკის სხვა ქვეყნებთან (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი), მათან ხელმოწერილ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. წერილში მოცემული იყო ერთგვარი გეგმაც, რომლითაც შექმნილ სიტუაციაში ამიერკავკასიის დელეგაციის ქართველ წევრებს უნდა ემოქმედათ.

სწორედ ეს წერილი გახდა საფუძველი აკაკი ჩხენკელის ფონ ლოსოვთან მოლაპარაკებისა, რომელშიც შემდეგ ბათუმში საგანგებოდ ჩასული ნოე ჟორდანიაც ჩაერთო. კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის, აგრეთვე, 1918 წლის გაზაფხულისათვის პირველი მსოფლიო ომით შექმნლი კონიუქტურის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული საბჭო მიდის გადაწყვეტილებამდე – გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამდენად, ის, რაც თბილისში 26 მაისს აღსრულდა, არსებითად, ბათუმში დაიგეგმა და გადაწყდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თემა სოლიდური სამეცნიერო პრობლემაა. ამასთან, მისი კვლევა აქტუალურია, როგორც ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ისე ქართულ სოციუმში თავისუფლებისა და რესპუბლიკის იდეის დასამკვიდრებისათვის, რასაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

მოხსენება იქნება მეცნიერული სიახლის შემცველი, რადგან მასში პირველწყაროების საფუძველზე კომპლექსურად წარმოჩნდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საერთაშორისო ფონი და ადგილობრივი კონტექსტი, რაც აქამდე გაკეთებული არ ყოფილა. ნაშრომი პირველწყაროებს, საარქივო დოკუმენტებს, პერიოდული პრესის მასალებს, მემუარული

ხასიათისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემებს დაეფუძ-ნება. მოხსენებაში დასმული პრობლემა გადაიჭრება სასისტორიო კვლევის ისეთი ტრადიციული მეთოდებით, როგორიცაა ისტორიზ-მის, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული, შემთხვევის ანა-ლიზისა და აღწერითი მეთოდები.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს მსგავსება და განსხვავებები დროის განსაზღვრულ ინ-ტერვალში მომხდარ მოვლენებს შორის, რომლებიც ეპოქის კონტექ-სტში განიხილება. თემის ისტორიული ფონი შესწავლილი იქნება რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომელიც ხელს უწყობს მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და მეცნიერული ხედვის ჩამოყალიბებას განსახილველი პრობლემის ირგვლივ. აღწერითი მეთოდი დაგვეხმარება ემპირი-ული მასალის შეგროვებასა და სისტემატიზაციაში, ფაქტებისა და მოვლენების ზუსტად გადმოცემასა და გააზრებაში, პასუხების გა-ცემაში კითხვებზე: რა, სად, როდის და როგორ.

შემთხვევის ანალიზი, როგორც ყოვლისმომცველი კვლევის მეთოდი, გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის, მოვლენის ან ფენომენის სიღრმისეულ შესწავლას, დეტალური აღწერას, მის ახ-სნასა და ინტერპრეტაციას. წყაროებისა და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული ანალიზი, ისე როგორც საკითხის სხვადასხვა რაკურ-სით გაშუქება და განსხვავებული პერსპექტივიდან წარმოჩენა მარ-თებული დასკვნების ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად გვესახება.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო-უკიდებლობა, ბათუმის კონფერენცია, გერმანია, ეროვნული საბჭო, 26 მაისი.

ბიბლიოგრაფია

გიორგი მაჩაბელი. წერილები, ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, ფონდი M-ა.5-ხ. 3,4,5,8.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმე 132. ფურც. 13-14.

გოგოლიშვილი ო., ნუცა ჩხაიძე. ნესტორ იაკობის ძე ხვინგია (1888-1941 წ.წ.), ჟურნალი „ჭოროხი“, 2021, N2.

ვინ დაბეჭდა პირველი კონსტიტუცია? (სამი ხვინგია) http://www.adjara.gov.ge/description.aspx?gtid=1022207

კობახიძე რ., გიორგი მაჩაბლის კერძო წერილები აკაკი ჩხენკელს მასალები ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევისათვის, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, # 2 (5).

მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. 1914-1918. დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019.

წერეთელი გ., ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971.

ჯანელიძე ო., საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია ,,განათლება და ინოვაცია“, 16-18 ნოემბერი, გორი, 2012.

Şahin E., Trabzon ve Batum konferansları ve antlaşmaları (1917-1918). Ankara: Türk Tarih Kurumu, 2002.

Документы и материалы по внешненй политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919.

Трапезундская и Батумская мирные конференции. Февраль-Май 1918 года. Документы и материалы. Ответственный редактор Ир. Якобашвили, Тб., 2018.

Шукюров К., Западный Азербайджан в системе закавказской государственности. https://qerbiazerbaycan.com/ru/%D0%B7%D0%B0%D0%BF%D0%B0%D0%B4%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%B0%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD-%D0%B2-%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%B5-%D0%B7%D0%B0%D0%BA%D0%B0%D0%B2/

https://search.rads-doi.org/showfile/ru/19627

https://www.historycaucasus.com/blog/independence-of-the-north-caucasus-in-german-imperial-archive-documents

https://de.wikipedia.org/wiki/Otto_G%C3%BCnther_von_Wesendonk

Otar Janelidze

The Batumi Conference of 1918 and the Question of Georgian Independence

Abstract

The Batumi Conference of May 1918 marked a decisive turning point in the pursuit of Georgian statehood, transforming the aspiration for independence into a concrete political agenda. It was at this conference that work commenced on the drafting of the Act of Independence, which was later finalized in Tbilisi and officially adopted by the National Council on May 26. It is therefore no exaggeration to assert that the Batumi Conference laid the essential foundations for the establishment of the Democratic Republic of Georgia.

This paper offers a detailed examination of the role played by German representatives in the negotiations between the Ottoman Empire and the Transcaucasian Federative Democratic Republic. The six-man delegation sent from Germany, led by General von Losov, was accompanied by Petre Surguladze, chairman of the Committee of Independent Georgia, as a consultant. The delegation included Count Friedrich Werner von der Schulenburg, a diplomat closely associated with the Georgian Committee, Otto Günther von Wesendock, head of the Political Section of the German General Staff, and legation secretary; and Rudolf Nadolny, an officer of the military intelligence service and Eastern Affairs specialist at the German Foreign Office.

Since 1914, the Committee had maintained active relations with German governmental circles, culminating in an agreement with Berlin in which Germany pledged to support Georgia's security in the event of an independence declaration.

A significant episode during the conference was the delivery of a letter to Akaki Chkhenkeli, head of the Transcaucasian delegation, written by Giorgi Machabeli in Berlin and dated April 29, 1918. Handed over by Wesendonk, the letter reported on the activities of the Committee of Independent Georgia, summarized diplomatic correspondence and agreements with Germany and other Central Powers (Austria-Hungary and

the Ottoman Empire), and laid out a strategic course of action for the Georgian delegates. This document became the basis for Chkhenkeli's negotiations with General von Lossow, later joined by Noe Jordania, who traveled to Batumi for the occasion.

Taking into account the Committee's preparatory work and the broader geopolitical context of the First World War in the spring of 1918, the Georgian National Council ultimately resolved to declare independence. Although the formal declaration occurred in Tbilisi on May 26, the decisive political planning had taken place in Batumi.

The restoration of Georgia's state independence represents a subject of enduring scholarly significance. Its investigation is not only important from a historiographical standpoint but also plays a key role in reinforcing the values of freedom and republicanism within Georgian political culture – a matter of continued socio-political and nation-building relevance.

This study contributes original scholarly insight through the first comprehensive analysis of both the international dynamics and the local context surrounding Georgia's path to restored independence, grounded in primary sources. It draws upon archival documents, contemporary press materials, memoirs, and specialized literature. Methodologically, the research is based on established historical approaches, including historicism, comparative analysis, retrospection, descriptive methods, and case study. The comparative method facilitates the identification and contextual interpretation of historical parallels and divergences; retrospection enables the tracing of causal relationships and long-term developments; the descriptive method aids in the collection, organization, and interpretation of empirical data; and the case study approach provides an in-depth examination of the Batumi Conference as a singular and formative event. A critical, multi-perspective analysis of sources and empirical evidence is employed to ensure well-substantiated and nuanced conclusions.

Keywords: Georgian Independence, Batumi Conference, German-Georgian Relations, National Council, May 26, 1918, Georgia